საქართველო

23652-01-2-202009071644

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/23652
07/09/2020

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნუნუ მიცკევიჩს

ქალბატონო ნუნუ,

საქართველოს ხელისუფლებისთვის ქართული დიასპორის სამშობლოსთან კავშირის გაღრმავება და დიასპორაში ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოს ახალ კონსტიტუციაში შეტანილი ჩანაწერი, რომ *„სახელმწიფო ზრუნავს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებაზე“ (მუხ. 5 პ. 8.),* რაც პირველი შემთხვევაა ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში. აღნიშნული დებულება ხაზს უსვამს საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრები თანამემამულეების მიმართ სახელმწიფოს მაღალ პასუხისმგებლობას. ამ მხრივ, განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენს ჩვენი ისტორიული დიასპორის - აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე კახის, ზაქათალას და ბელაქნის რაიონებში მცხოვრები ქართული წარმოშობის აზერბაიჯანის მოქალაქეებთან ურთიერთობა, მათი ისტორიულ სამშობლოსთან დაახლოება და მათში არსებული ქართული მუხტის და სულისკვეთების მოფრთხილება. მოგეხსენებათ, ქართული და აზერბაიჯანული მხარეების თანხმობით და ჩვენი ორი უწყების აქტიური ჩართულობით, უკვე წლების განმავლობაში, რეგულარულად ხდება აზერბაიჯანის ზემოხსენებულ რაიონებში მოქმედი ქართული სკოლების ქართული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.

მიმდინარე წელს, ქვეყანაში COVID-19-ის პანდემიის ფართოდ გავრცელებით შექმნილმა ვითარებამ მრავალი კორექტივი შეიტანა ჩვენი უწყებების ჩვეულ სამუშაო პროცესში. ამ გაუთვალისწინებელი გამოწვევის შესაბამისად, არაერთი არაორდინალური გადაწყვეტილების მიღებაც მოგვიხდა. მათ შორის არის თქვენი უწყების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებულ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტებისთვის უმაღლესი განათლების დაფინანსების შესახებ, რომელიც პირდაპირ ეხება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ჩვენი ისტორიული დიასპორის ახალგაზრდა წარმომადგენლებს. ეს იყო სახელმწიფოს მხრიდან გამოხატული კეთილი ჟესტი მათ მიმართ, რასაც პოზიტიური გამოხმაურება ჰქონდა ჩვენს თანამემამულეებში. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული ახალგაზრდების გარდა, საქართველოს საჯარო/კერძო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს აზერბაიჯანში მცხოვრები ქართული წარმოშობის მრავალი მოსწავლე და სტუდენტი, რომლებიც COVID-19-ის პანდემიის ფონზე საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, კვლავ აღმოჩნდნენ კიდევ ერთი სირთულის წინაშე, რომელზეც მსურს გავამახვილო თქვენი ყურადღება. კერძოდ, თანამემამულეები, რომლებზეც ვსაუბრობთ,

აზერბაიჯანის მოქალაქეები არიან. შესაბამისად, საქართველოს საჯარო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართვის მიზნით, მათ, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, ევალებათ გარკვეული ფორმალობების დაცვა. მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას, საკარანტინე სივრცეში განთავსების და COVID-19-ზე შემოწმების ტესტების ხარჯების ანაზღაურება, რის შესაძლებლობაც, მათი განცხადებით, არ გააჩნიათ. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს საჯარო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდებს შორის არის ის ნაწილიც, რომელსაც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, სახელმწიფომ სრულად დაუფინანსა უმაღლესი განათლება და თუ უსახსრობის გამო ისინი ვერ მოახერხებენ სწავლის დაწყებას, აზრს დაკარგავს როგორც ხსენებული ბრძანება, ასევე, სახელმწიფოს მიერ ამ მიმართებით გაწეული ძალისხმევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს ისტორიულ დიასპორასთან ურთიერთობის საკითხის სენსიტიურობის და მაღალი მნიშვნელობის გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით, აღმოუჩინოთ დახმარება აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართული წარმოშობის მოსწავლეებსა და სტუდენტებს მათ წინაშე მდგარი სირთულეების გადაწყვეტაში. კერძოდ, სასურველია გამოინახოს საშუალება, რომ სახელმწიფომ დაფაროს ამ ახალგაზრდების კარანტინში განთავსების და COVID-19-ზე შემოწმების ტესტების ხარჯები. ხსენებული საკითხის მოგვარება მათ შესაძლებლობას მისცემს მიიღონ სრულყოფილი ქართული განათლება, რაც მყარი საფუძველია, რომ შეინარჩუნონ ქართული სულისკვეთება, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან ეს ქმედება თანამემამულეების მიერ აღქმული იქნება როგორც კიდევ ერთი პოზიტიური ნაბიჯი მათ მხარდასაჭერად.

დანართი: საჯარო სკოლის მოსწავლეების, აბიტურიენტების და სტუდენტების სია.

პატივისცემით,
ვლადიმერ კონსტანტინიდი

მინისტრის მოადგილე